თ ა ნ ხ მ ო ბ ა

ჩვენ, ლაშა ბაბუაძე (პ/ნ 01030004446) როგორც შპს „geo-b“ -ს (ს/კ # 400034823) დირექტორი და კონსტანტინე კონსტანტინიდი (პ/ნ 08001001152) შპს „geo-b“ -ს (ს/კ # 400034823) პარტნიორი ვაცხადებთ, რომ თანახმანი ვართ შპს „ლიტვური საცხობი +“-მა (ს/კ 400026645) აწარმოოს მშენებლობა თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.12.08.036.077), რომელიც მდებარეობს geo-b“ -ს (ს/კ # 400034823) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ (01.12.08.036.159). ასევე თანხმობას ვაცხადებთ, რომ შპს „ლიტვური საცხობი +“-მა ზემოაღნიშნული მშენებლობა განახორციელოს სამეზობლო საზღვრებიდან 1 (ერთი) მეტრის მოშორებით, ასევე ლაშა ბაბუაძე და კონსტანტინე კონსტანტინიდი შპს „geo-b“ -ს (ს/კ # 400034823) პარტნიორები თანახმანი ვართ ფასადებზე გაკეთდეს ღიობები, ვიტრაჟების მოსაწყობად და აივანი, რომელიც ფასადის მხარეს დაფარული იქნება ჰორიზონტალური ჟალუზებით აივნის იატაკიდან 2 (ორი) მეტრის სიმაღლეზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით არ გაგვაჩნია არანაირი პრეტენზია, რასაც ვადასტურებთ ჩვენი ხელმოწერებით.

განმცხადებლები შპს „geo-b“ -ს (ს/კ # 400034823):

დირექტორი - ლაშა ბაბუაძე

პარტნიორი - კონსტანტინე კონსტანტინიდი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N151138907
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	15.10.2015 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	დარეჯან ახალბედაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი, ქუჩა მტკვარი, #6, სართული 1.
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	591706628
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	00184841102715

მე, ნოტარიუსი დარეჯან ახალბედაშვილი, სანოტარო ბიუროში, მდებარე: ქ. თბილისი, ქუჩა მტკვარი #6, სართული 1 ვამოწმებ წარმოდგენილ თანხმობაზე ლაშა ბაბუაძის (დაბ. 26.08.1971წ, ზესტაფონი. პირადი ნომერი # 01030004446, რეგ. თბილისი გ.ზაზიაშვილის ქ. N 43) და კონსტანტინე კონსტანტინიდის (დაბ. 21.05.1965წ. თელავი. პირადი ნომერი # 08001001152, მცხ: თბილისი ზღვისუბნის დას. XI მ/რ III კვ. კორ. 58 ბ. 57) ხელმოწერის სინამდვილეს რომელიც შესრულებულია ჩემი თანდასწრებით. ხელისმომწერებს განემარტათ, რომ ნოტარიუსი არ ადასტურებს თანხმობაში მოყვანილ ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად პასუხს არ აგებს მასზე. დოკუმენტზე ხელისმომწერის პირადობა დადგენილია, ქმედუნარიანობა და ნების გამოხატვის ნამდვილობა შემოწმებულია. გადახდილია საზღაური თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" (2011 წლის 29 დეკემბერი დადგენილება #507), 6.72 ლარი, მათ შორის: მ. 31.3. 4, 00 ლ. დღგ. 0.72 ლ. + მ. 39.1. 2, 00. ლ.

ნოტარიუსი:

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**